თავი VIII

მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტები 2010–2013 წლებში

მუხლი 37. საქართველოს კონტროლის პალატა

- INTOSAI-ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური განვითარება, დამოუკიდებელ, მაღალპროფესიულ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

პრიორიტეტი: INTOSAI-ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური განვითარება, დამოუკიდებელ, მაღალპროფესიულ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- INTOSAI-ის სტანდარტების შესაბამისად კონტროლის პალატის აუდიტის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელოს შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა;
- საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით აუდიტის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნა და მისი პრაქტიკული გამოყენება შესაბამისი აუდიტორების მოსამზადებლად;
- სახელმწიფო აუდიტორის სერტიფიცირებისათვის სასწავლო პროგრამის შექმნა, სერტიფიცირებული სახელმწიფო აუდიტორების მომზადება, როგორც კონტროლის პალატისათვის, ისე სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტისათვის;
- კონტროლის პალატის ორგანიზაციული განვითარება, სტრატეგიული გეგმის შესაბამისად სტრუქტურის სრულყოფა, ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება, თანამედროვე ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება, დონორებთან თანამშრომლობის გაღრმავება, საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლება.

მოსალოდნელი შედეგი:

- კონტროლის პალატის თანამედროვე, დამოუკიდებელ, სახელმწიფო სექტორის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც სრულად უპასუხებს საერთაშორისო მოთხოვნებს და სარგებლობს საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხით.

პრიორიტეტი: სახელმწიფო ფინანსების მართვის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- კონტროლის პალატის საქმიანობის აქცენტირება შემოსავლების მობილიზაციასა და სახელმწიფო სახსრების ფორმირების ხელშეწყობაზე, აგრეთვე მათი გამოყენების, სახელმწიფო საკუთრების მართვისა და განკარგვის, სახელმწიფო ვალების, უცხოური კრედიტებისა და გრანტების მიღებისა და გამოყენების კანონიერებისა და ეფექტიანობის შემოწმებაზე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგზე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, პროგრამებისა და ღონისძიებების პროექტებზე საექსპერტო დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებაზე;
- სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის მხარდაჭერა, აქტიური მონაწილეობის მიღება სახელმწიფო სექტორში შიდა აუდიტის დანერგვასთან დაკავშირებით.

მოსალოდნელი შედეგი:

- სახელმწიფო ფინანსური მართვის გაუმჯობესება, საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების და სახელმწიფო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა.

მუხლი 38. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

- სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნა, მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის დანერგვა და მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმების დახვეწა;
- სასამართლოს მენეჯმენტის გაუმჯობესება, საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების სრულყოფა.

პრიორიტეტი: სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნა, მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის დანერგვა და მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმების დახვეწა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გამსხვილება და შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;
- მაგისტრატი მოსამართლეების დანიშვნა;
- შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლებითაც განისაზღვრება მოსამართლედ დასანიშნ პირთა – იუსტიციის მსმენელთა – მოსამართლედ გამწესების წესი და მომზადდება საფუძველი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნისათვის;

- მოქმედი მოსამართლეების დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება;
- მოქმედი მოსამართლეების გადამზადება;
- სასამართლოს შენობების, მათ შორის, მაგისტრატი სასამართლოების შენობების, რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, ახალი ავეჯით, საოფისე ტექნიკითა და სხვა აუცილებელი ინვენტარით აღჭურვა;
- სასამართლოების სრული კომპიუტერიზაცია, ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა, საერთო სასამართლოების საქმისწარმოების პროგრამის შეძენა-დანერგვაზე ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- შეიქმნება ეფექტიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქეთა უფლებების დაცვა;
- მართლმსაჯულება გახდება ეფექტიანი და ხელმისაწვდომი;
- მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი გახდება გამჭვირვალე და ობიექტური.

პრიორიტეტი: სასამართლოს მენეჯმენტის გაუმჯობესება, საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების სრულყოფა

- საქმისწარმოების ერთიანი წესის შემუშავება და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვისათვის საფუძვლების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი:

- გაუმჯობესდება სასამართლოს აპარატის საქმიანობა, დაჩქარდება საქმეთა განხილვა, შესაძლებელი გახდება საპროცესო ვადების ავტომატურ რეჟიმში კონტროლი.

მუხლი 39. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაცია;
- ევროკავშირთან ინტეგრაციის კოორდინაცია;
- ევროკავშირის დახმარების პროგრამების კოორდინაცია.

პრიორიტეტი: ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ANP-ის შემუშავებისა და იმპლემენტაციის კოორდინაცია;
- უწყებების მიერ ANP-ით აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;
- ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში საქართველოს ალიანსთან თანამშრომლობის კოორდინაცია;

- ნატო-ს რეგულარული ინფორმირება საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მოსალოდნელი შედეგი:

- ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებისათვის საფუძვლის მომზადება.

პრიორიტეტი: ევროკავშირთან ინტეგრაციის კოორდინაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაცია არსებული ინსტიტუციური მექანიზმების (ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია, კომისიის სამუშაო ჯგუფები და ქვეჯგუფები) ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის გზით;
- ევროკავშირის „აღმოსავლეთი პარტნიორობის" პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების გამოყენება;
- საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება ევროინტეგრაციის პრიორიტეტულ სფეროებში (თავისუფალი ვაჭრობა, ენერგოუსაფრთხოება, მიმოსვლის გამარტივება, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია) თანამშრომლობის მიზნით;
- შესაბამის უწყებებთან ერთად ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ყოველწლიური გეგმის შემუშავება;
- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ევროპელი პარტნიორებისათვის;
- წელიწადში ორჯერ საქართველოში მაღალი დონის წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენციის მოწყობა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.

მოსალოდნელი შედეგი:

- ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მოგვარებაში და სტაბილურობის უზრუნველყოფაში ევროკავშირის აქტიური მონაწილეობა, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობასა და დემოკრატიულ განვითარებაში ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერა, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასრულება.

პრიორიტეტი: ევროკავშირის დახმარების პროგრამების კოორდინაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ევროკავშირის დახმარების პროგრამებთან და პროექტებთან, აგრეთვე ეროვნულ და რეგიონულ ინდიკატურ პროგრამებთან და ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების კოორდინაცია ევროკავშირთან და შესაბამის უწყებებთან;

- ევროკავშირის დახმარების მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა და რეგულარული განახლება;
- ევროკავშირის პროგრამების პროცედურებისა და დირექტივების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო უწყებებისათვის, აგრეთვე მათთვის დახმარების გაწევა საპროექტო წინადადებების, პროექტების, სამუშაო დავალებების, მონიტორინგის ანგარიშებისა და ევროკავშირის დახმარებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

მოსალოდნელი შედეგი:

- ევროკავშირის დახმარების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა, ევროკავშირის პროგრამებზე მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ევროკავშირის პროგრამების განხორციელების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება, ევროკავშირის დახმარებათა გამოყენების პროცესის გამჭვირვალობის ზრდა.

მუხლი 40. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- ქართული დიასპორის სამშობლოსთან ინტეგრაცია;
- უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მხარდაჭერა;
- ქართული დიასპორის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა.

პრიორიტეტი: ქართული დიასპორის სამშობლოსთან ინტეგრაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ქართული დიასპორის დღეების ჩატარება თბილისში;
- ჩვენი თანამემამულეები უცხოეთში;
- ქართული დიასპორის კულტურული ცენტრების წარმომადგენლების საქართველოში მოწვევა.

მოსალოდნელი შედეგები:

- საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ცენტრების შემოქმედებითი საქმიანობის გაცნობა საქართველოს ფართო საზოგადოებისათვის; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარება;
- დიასპორული პოლიტიკის შემუშავებაში საერთო შეხედულებების ჩამოყალიბება; დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაცნობა-გაზიარება;
- ქართული დიასპორის წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მათი ურთიერთგაცნობა და დაახლოება, საქართველოში არსებული პრობლემების/კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მხარდაჭერა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- დიასპორის ახალგაზრდა წარმომადგენლების მოწვევა პატრიოტთა ბანაკებში;
- უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა სამართლებრივი დახმარების ცენტრის საქმიანობის გაფართოება;
- დიასპორის ინტერნეტჟურნალის შექმნა;
- ქართული ჟურნალ-გაზეთების უცხოეთში გამოცემის ხელშეწყობა;
- საზღვარგარეთ, ქართულ დიასპორაში სათვისტომოების დაფუძნება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველთა ხელშეწყობა და მხარდაჭერა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში;
- საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების მეტი დაცულობის უზრუნველყოფა; მიმღებ სახელმწიფოებში მათი ჯეროვანი ინტეგრაცია და ადაპტაციის პროცესის გაიოლება; ძლიერი რეფერალური სისტემის შექმნა;
- ქართული კულტურის ცენტრებისა თუ სათვისტომოების ურთიერთკავშირის გაღრმავება;
- საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ქართული ენის შენარჩუნება და განვითარება ქართულ დიასპორაში;
- ქართული სათვისტომოების რეგისტრაციაში გატარება ადგილსამყოფელი ქვეყნების კანონმდებლობების შესაბამისად; ქართული დიასპორების ეროვნულ უმცირესობებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა; კულტურული ცენტრებისთვის დახმარების გაწევა (საგანმანათლებლო ინვენტარი, სახელმძღვანელოები, ნაციონალური სამოსები და სხვა).

პრიორიტეტი: ქართული დიასპორის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონების შექმნა;
- ქართული ენის ელემენტარული სასწავლო კურსის ინტერნეტვერსიის შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ისტორიულ ქართულ დიასპორაში (ფერეიდანი, საინგილო, ტაო-კლარჯეთი) ქართული ენის შენარჩუნება, საქართველოსთან კულტურულ-ენობრივი ინტეგრაცია;
- ქართული ენის არმცოდნე ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის მშობლიური ენის საწყისების (წერა, კითხვა, საუბარი) სწავლების ხელშეწყობა.

მუხლი 41. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის სრულად განხორციელება.

აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პრიორიტეტების განხორციელება:

- საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა;
- ხაზინის განვითარება;
- საფინანსო პოლიტიკის სრულყოფა;
- შემოსავლების მობილიზება;
- ინსტიტუციური განვითარება.

პრიორიტეტი: საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საბიუჯეტო კანონმდებლობის სრულყოფა;
- საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვა;
- ერთიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება და მონიტორინგის გაძლიერება;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების სრულყოფა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროგრამის შექმნა;
- ახალი მაკროფისკალური სტრუქტურის შემუშავება;
- პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების ეტაპობრივი დანეგვა;
- სახელმწიფო შიდა ვალის მართვის და მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება;
- საგარეო ვალების მდგრადობის მოდელის სისტემატური განახლების უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესი MTEF-ის პრინციპებზე დაყრდნობით;
- მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირების შესაძლებლობის მოდელის გაუმჯობესება;
- შიდა ვალის მენეჯმენტის დახვეწა;
- საგარეო ვალის მდგრადობის შენარჩუნება;
- დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით დონორთა კოორდინაციის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: ხაზინის განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის პილოტური ორგანიზაციების შერჩევა და მათთვის ფორმებისა და მეთოდური მითითებების მომზადება, ხოლო მთლიანად სახელმწიფო სექტორში IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის ინსტრუქციების მომზადება;
- საქართველოში საჯარო სექტორის აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს შექმნა;
- რისკის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება, რაც გულისხმობს შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვას და ლიკვიდურობის მართვის მანდატის დამტკიცებას;
- ელექტრონული ხაზინის სისტემის დანერგვა;
- ინტეგრირებული სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის – PFMS-ის – დანერგვის მიზნით შესყიდვის პროცედურების ინიციირება, ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევა და ტენდერის გამოცხადება;
- ელექტრონული ხაზინის ძირითადი ექსპლუატაცია;
- ბიუჯეტის მართვის მოდულის შემუშავება და ხაზინის საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მომზადებული ქვეყნის ფინანსური ანგარიშების ინფორმაციულობისა და სანდოობის უზრუნველყოფის გზით ქვეყნის მიმართ ინვესტორთა ნდობის ხარისხის ამაღლება;
- საერთაშორისო სტატისტიკაში ქვეყნის ფინანსური სტატისტიკის სრულფასოვანი ინტეგრირება;
- საოპერაციო რისკებისა და ფინანსური რისკების იდენტიფიცირება, კონტროლი და მინიმიზაცია;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობის და გამჭვირვალობის ზრდა; სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება რეალურ დროში, მინიმალური დანახარჯებით.

პრიორიტეტი: საფინანსო პოლიტიკის სრულყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსების გამარტივება ბიზნესგარემოსა და ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის;

- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით შეთანხმებების გაფორმება სხვადასხვა ქვეყნებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბიზნესგარემოს გაუმჯობესება;
- ფისკალურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა.

პრიორიტეტი: შემოსავლების მობილიზება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული სრულყოფა;
- საგადასახადო და საბაჟო განაკვეთების შემცირების მექანიზმის სრულყოფა;
- საგადასახადო და საბაჟო პროცედურების დახვეწა, საერთო სტანდარტების დანერგვა;
- შემოსავლების ზრდის მექანიზმის სრულყოფა;
- გადამხდელთა ინფორმირებულობის და საჯაროობის ამაღლება, გადამხდელთა მომსახურების გამარტივება და ელექტრონული მომსახურების სისტემის შემდგომი განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები:

- შემოსავლების სამსახურის მოხელეთა საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- გადასახადის ნებაყოფლობით გადახდით შემოსავლების ზრდა;
- შემოსავლების სამსახურის ფუნქციური სრულყოფა;
- საგადასახადო საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება.

პრიორიტეტი: ინსტიტუციური განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- თანამშრომლების საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- თანამშრომლების მონაცემთა ბაზის სრულყოფა;
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფა;
- სისტემის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის საჯარო მოხელეთა საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა კონტროლისა და იურიდიული საქმიანობის სრულყოფა;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

მუხლი 42. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- საგარეო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი, ხარისხის ინფრასტრუქტურა;
- სახელმწიფო ქონების პრივატიზება.

პრიორიტეტი: საგარეო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი, ხარისხის ინფრასტრუქტურა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა;
- საიმიჯო და სარეკლამო მასალების დამზადება, გამოცემა და გავრცელება;
- პრესტურებისა და გაცნობითი ტურების ორგანიზება;
- ცალკეული კურორტებისა და სარეკრეაციო ზონების დაცვისა და განვითარების გეგმების პროექტების დამუშავება;
- ტურისტული ინდუსტრიის კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, იმიჯის გაუმჯობესება;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, უცხოელ ტურისტთა რაოდენობის ზრდა;
- კურორტებისა და სარეკრეაციო ზონების გეგმაზომიერი განვითარება და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: სახელმწიფო ქონების პრივატიზება

- პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრების ობიექტებში ინვესტიციების მოზიდვა და მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების ზრდა.

მუხლი 43. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- რეგიონალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

პრიორიტეტი: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამა „გზების მოვლა-შენახვის ხარჯები (მიმდინარე, პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობა და შენახვა ზამთრის პერიოდში)“

- გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია;
- გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;
- თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის 15–21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია;
- სტიქიური მოვლენების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- შეკეთებული და აღდგენილი ხიდები;
- რაიონულ ცენტრებთან, ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი მოწესრიგებული გზები;
- გზების არსებული საექსპლუატაციო პარამეტრების შენარჩუნება და ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფა;
- ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადის გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა;
- ტრანზიტულად მოძრავი ავტოტრანსპორტის სრული გადართვა თბილისის შემოვლით გზაზე, ქალაქ თბილისში მოძრაობის განტვირთვა, სატრანზიტო პოტენციალის ზრდა.

პრიორიტეტი: რეგიონალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „ქობულეთის წყალარინების რეაბილიტაციის პროექტი“

- სატუმბი სადგურის მშენებლობა;
- წყლის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია/მშენებლობა;
- სისტემის გამრიცხველიანება.

პროგრამა „ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია“

- არსებული წყალმომარაგების შიდა ქსელის რეაბილიტაცია (30 ქუჩა);
- სატუმბი სადგურის მშენებლობა და რეზერვუარის რეაბილიტაცია;
- სისტემის გამრიცხველიანება.

პროგრამა „ბორჯომის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია“

- არსებული წყალმომარაგების და წყალარინების რეაბილიტაცია;
- სატუმბი სადგურის მშენებლობა და რეზერვუარის რეაბილიტაცია;

- სისტემის გამრიცხველიანება;
- წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგი:

- წყალმომარაგების გაუმჯობესება და წყალჟონვის შემცირება.

პროგრამა „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი“

- მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტებში ამორტიზებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგი:

- მოსახლეობისთვის წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესება და უსაფრთხო და მაღალი გამტარუნარიანობის მქონე ქუჩების არსებობა.

პროგრამა „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი“

- შერჩეული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ქმედობაუნარიანობისა და საიმედოობის სრულყოფა;
- წყალმომარაგების, კანალიზაციის და გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

პროგრამა „განახლებადი ენერგიების განვითარების პროგრამა“

- მცირე ჰესების სრული რეაბილიტაცია/მშენებლობა.

პროგრამა „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“

- დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

მუხლი 44. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

- სისხლის სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის რეფორმა;
- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციისა და ელექტრონული გამოქვეყნების ავტომატიზაცია („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებპორტალი);
- ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა;

• სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი მუშაობა და მისი მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პრიორიტეტი: სისხლის სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის რეფორმა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

• სისხლის სამართლის საქმის წარმოების ინტეგრირებული სისტემა;

• საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

• საზოგადოებრივი პროკურატურის პროგრამა;

• მსხვერპლთა დახმარების ცენტრების შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

• სისხლის სამართლის საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამის შექმნა და დამონტაჟება;

• მონაცემთა ბაზის გაფართოება;

• პროკურორების გადამზადება სასამართლო პროცესისათვის საჭირო უნარ-ჩვევებზე, სამხილთა ახალ სტანდარტებზე, საგამოძიებო ვადებზე, პროკურორის როლზე, სავალდებულო წინასაპროცესო მოსმენასა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე;

• საგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემებზე, სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამხმარე ღონისძიებების ჩატარება;

• ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების ჩამოყალიბება, რომლებიც განიხილავენ დანაშაულთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

• დაზარალებულებისთვის კვალიფიციური სამართლებრივი და ინფორმაციული დახმარების გაწევა.

პრიორიტეტი: ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

• საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან;

• სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი თანამშრომლობა ევროპულ სასამართლოსთან და საერთაშორისო არბიტრაჟებთან;

• მაღალკვალიფიციური იურიდიული ფირმების საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა.

მოსალოდნელი შედეგები:

• ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადთა რაოდენობის პროპორციულად საქართველოსთვის პოლიტიკური და მატერიალური

პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევების შემცირება, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება;

- საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო დავების პრევენცია და უკვე არსებულ დავებში საქართველოსთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი შედეგის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციისა და ელექტრონული გამოქვეყნების ავტომატიზაცია („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებპორტალი)

- კანონმდებლობის სისტემატიზაცია/ელექტრონული გამოქვეყნება.

მოსალოდნელი შედეგი:

- კანონმდებლობის სრული სისტემატიზაცია, მონაცემთა ბაზის ყოველდღიური განახლება, მოსახლეობისათვის მარტივად ხელმისაწვდომი საკანონმდებლო სიახლეები.

პრიორიტეტი: ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- მომხმარებელზე ორიენტირებული, ერთიანი, დაცული და მუდმივად განახლებადი სამოქალაქო რეესტრის ფორმირება;
- პროფესიონალი კადრების ჩართვა ტრენინგებში, პერსონალის ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა და საკადრო სისტემის ანალიზი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი პროგრამის შექმნა და ონლაინრეჟიმში მუშაობაზე გადასვლა;
- ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათების შემოღება;
- განვითარებული ქვეყნების ანალოგიური სამსახურების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესწავლა და ანალიზი, კანონპროექტების მომზადება შესაბამისი სფეროებისათვის;
- ტერიტორიული სამსახურების ძველი შენობების გარემონტება, რეგიონებში ახალი ქორწინების სახლების შექმნა, ცენტრალური სერვერული ცენტრისა და დუბლირებული ცენტრის ინსტალაცია, ინტეგრირებული ქსელის შექმნის დასრულება და ამოქმედება.

მოსალოდნელი შედეგი:

- კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული და მომხმარებელზე ორიენტირებული სამსახური, მონაცემთა ბაზის სრულყოფა და სხვა ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომობა, ბიომეტრიული პასპორტებისა და ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათების გაცემა, სამოქალაქო რეესტრის შესახებ სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა, დახლის პრინციპით გარემონტებული სამსახურების შენობები, რეგიონალურ ცენტრებში შექმნილი ქორწინების სახლები, ცენტრალური და დუბლირებული სერვერული ცენტრის ფუნქციონირება, ტერიტორიული სამსახურების აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და საქართველოს მასშტაბით ინტეგრირებული ქსელის შექმნა.

პრიორიტეტი: სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი მუშაობა და მისი მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განახლება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა.

მოსალოდნელი შედეგი:

- მაღალი მაჩვენებლის მქონე აღსრულების სისტემის შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილებების დროული და ეფექტიანი აღსრულება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მაქსიმალური მობილიზება.

მუხლი 45. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

- სასჯელაღსრულების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში, მსჯავრდებულთა საზოგადოებაში რესოციალიზაცია;
- საქართველოს სამართლებრივი დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირება.

პრიორიტეტი: სასჯელაღსრულების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების მშენებლობა;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალაქ რუსთავის №6 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი კომპლექსის მშენებლობა;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალაქ რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგი:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებების ევროსტანდარტებთან მიახლოება, პატიმართა საცხოვრებელი პირობების და მათი კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში, მსჯავრდებულთა საზოგადოებაში რესოციალიზაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს რაიონულ ოფისებში სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- პრობაციის სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება;
- რესოციალიზაციის მიზნით, განათლების, დასაქმებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებით პატიმართა გამოსწორების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოში ძლიერი და ეფექტიანი პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება;
- დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის შემცირება.

პრიორიტეტი: საქართველოს სამართლებრივი დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საგარეჯოს და ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება;
- საზოგადოებრივ ადვოკატთა რესურსის გამოყენება;
- იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ადვოკატებისათვის საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამის განვითარება;
- იურიდიული დახმარების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- 2011 წლიდან იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე;
- რაიონულ ოფისებში სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

მოსალოდნელი შედეგი:

- უფასო კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევა მოსახლეობისათვის.

მუხლი 46. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- უსაფრთხო, დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა;
- გლობალურ და რეგიონულ დონეზე საქართველოს პოზიციების განმტკიცება;

- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დაცვა და დიასპორასთან ურთიერთობის გაღრმავება;
- საქართველოს წარმოჩენა.

პრიორიტეტი: უსაფრთხო, დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- დემოკრატიის გამტკიცება, ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატის ქმედობაუნარიანობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში;
- ეკონომიკური განვითარების და უსაფრთხოების ხელშეწყობა;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა;
- დევნილთა უფლებების დაცვა და ომის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ომის შედეგად დაზარალებული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა, აგრეთვე კონფლიქტების ზონებში ადგილობრივი დონის (grassroots level, people-to-people) კონტაქტების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე და თავისუფალი ვაჭრობის საკითხებზე პროგრესის მიღწევა;
- ევროკავშირის მონიტორინგის მისიის შენარჩუნება საქართველოში, კონფლიქტების რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების დონის და ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- კომპეტენციის ფარგლებში სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENPAP-ით) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
- ევროკავშირის ახალ ინიციატივაში – „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“ – საქართველოს ჩაბმა;
- ნატო-საქართველოს კომისიის საშუალებით ალიანსთან დიალოგის გააქტიურება;
- კომპეტენციის ფარგლებში წლიური ეროვნული გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
- უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა, ქართული პროდუქციის ექსპორტის გაზრდა, საქონლისა და მომსახურების საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება და არსებული ბაზრების გაფართოება;
- პროგრესის მიღწევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების ჩამოყალიბების და სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით;
- ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატის ქმედობაუნარიანობის ამაღლება;

- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი თუ იქაური მოსახლეობის უფლებების დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: საერთაშორისო სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- უსაფრთხოების საერთაშორისო ფორმატებში მონაწილეობა;
- ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაეროს შესაბამის ინსტიტუტებთან ურთიერთობების გაღრმავება;
- საქართველოს აქტიური მონაწილეობა ეუთოს საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის, ეუთოს უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის ფორუმის ფარგლებში;
- ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერება;
- შეიარაღების უკანონო გავრცელებაზე კონტროლის გაუმჯობესება;
- ენერგომომარაგების წყაროებისა და მარშრუტების შემდგომი დივერსიფიცირება და საქართველოს, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყნის, სტატუსის განმტკიცება;
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე დიალოგის და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება.

პრიორიტეტი: გლობალურ და რეგიონულ დონეზე საქართველოს პოზიციების განმტკიცება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- რეგიონული თანამშრომლობის განვითარება;
- საქართველოს ურთიერთობის გაღრმავება მეზობელ ქვეყნებთან;
- საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება აშშ-თან;
- საქართველოს ურთიერთობის გაღრმავება ევროპის ქვეყნებთან და კანადასთან;
- საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ურთიერთობების განვითარება აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

- ურთიერთხელსაყრელი რეგიონული თანამშრომლობის განვითარება;
- აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის პრაქტიკული იმპლემენტაცია;
- ევროპის ქვეყნების მიერ საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში ინტეგრაციის აქტიური მხარდაჭერა;
- აზიის ქვეყნებთან ნაყოფიერი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება;

- ლათინური ამერიკის და აფრიკის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების გაძლიერება;
- აზიის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთქმედების ინტენსიფიკაცია.

პრიორიტეტი: საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დაცვა და დიასპორასთან ურთიერთობის გაღრმავება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ მოგზაურობის, სწავლის და ბიზნესის წარმოების ხელშეწყობა;
- დიასპორასთან ურთიერთობის გაღრმავება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვის გაუმჯობესება;
- საზღვარგარეთ ქართული ბიზნესის დაცულობის ხარისხის ამაღლება;
- დიპლომატიური წარმომადგენლობების ქსელის გაფართოება;
- საქართველოს მოქალაქეებისთვის უცხოური ვიზების გაცემის პროცედურების ლიბერალიზაცია;
- ქართულ სათვისტომოებთან კონტაქტების გაძლიერება და მათი საქართველოსთან მჭიდრო კულტურული, ინტელექტუალური და საქმიანი კავშირების უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: საქართველოს წარმოჩენა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის წარმოება;
- საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის გაღრმავება.

მოსალოდნელი შედეგები:

- უარყოფით პროპაგანდასთან ეფექტიანი დაპირისპირება;
- საერთაშორისო არენაზე დროული და ობიექტური ინფორმაციის გავრცელება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;
- საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის გაუმჯობესება;
- გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტების ინიციირება.

მუხლი 47. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

- თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და სოციალური პირობების გაუმჯობესება;
- შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება;
- ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია.

პრიორიტეტი: თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის (PPBS) ინსტიტუციონალიზაცია;
- ინფორმაციისა და კოორდინაციის გაცვლის ხარისხის ამაღლება;
- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;
- თავდაცვის სისტემის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა;
- სამხედრო მოსამსახურეების და სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემების დახვეწა;
- შესყიდვების სისტემის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების სრულყოფა, რესურსების განაწილებისა და გამოყენების რაციონალიზაცია და გამჭვირვალობა;
- მართვის სისტემის გაუმჯობესება, საბიუჯეტო სახსრების საშუალო- და გრძელვადიანი დაგეგმვა.

პრიორიტეტი: პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და სოციალური პირობების გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- თავდაცვის ეროვნული აკადემიის განვითარება;
- სერჟანტთა მომზადების სკოლის განვითარება;
- სიმულაციური შესაძლებლობების განვითარება;
- სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მიერ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლება;
- შეიარაღებულ ძალებში გაერთიანებული სწავლებებისა და წვრთნების ჩატარება;

- სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლება;
- შრომის ანაზღაურების წოდებრივ პრინციპზე გადასვლა;
- სოციალური პირობების გეგმაზომიერი გაუმჯობესება;
- სამხედრო-სამედიცინო სისტემის დახვეწა.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ახალი კადრების მოზიდვა და გამოცდილი კადრების შენარჩუნება;
- შესაბამის თანამდებობებზე სათანადო კვალიფიკაციისა და წოდების მოსამსახურის დანიშვნა, არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება.

პრიორიტეტი: შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება;
- „ოპერატიული მართვის ცენტრის“ განვითარება;
- სამხედრო-საჰაერო ძალების შემდგომი განვითარება;
- შეიარაღებულ ძალებში ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარება;
- სამხედრო დაზვერვის სისტემის ეტაპობრივი განვითარება;
- შეიარაღებული ძალების გაერთიანებული ოპერაციების წარმოების შესაძლებლობების ამაღლება;
- ლოგისტიკური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება;
- შეიარაღებული ძალების სამთო და სპეცოპერაციების წარმოების შესაძლებლობების ამაღლება;
- შეიარაღებული ძალების ტექნიკითა (საკომუნიკაციო, სადაზვერვო, ლოგისტიკური, სამედიცინო, საინჟინრო და ა. შ.) და აღჭურვილობით ოპტიმალურად დაკომპლექტება;
- სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- სამხედრო-სამედიცინო სისტემის დახვეწა;
- გაერთიანებულ შტაბსა და შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის (CIMIC) სისტემის ეტაპობრივი განვითარება;
- შეიარაღებულ ძალებში ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური და რადიოლოგიური (NBCR) დაცვის შესაძლებლობების განვითარება;
- რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის გაუმჯობესება;
- ვადაგასული და დაზიანებული, გამოუსადეგარი საბრძოლო მასალებისა და ტექნიკის უტილიზაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

- შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების პროპორციულად ამაღლება, აგრეთვე სპეციფიკური მიმართულებების განვითარება, თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესება და შეიარაღებული ძალების ამოცანების შესრულების შესაძლებლობების ამაღლება.

პრიორიტეტი: ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულება, ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და კომისიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება;
- პარტნიორ ქვეყნებთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაგრძელება;
- საერთაშორისო სამშვიდობო ან/და ანტიტერორისტულ მისიებში მონაწილეობის პოტენციალის შენარჩუნება/განვითარება;
- ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში „პარტნიორობის საშტაბო ელემენტის“ (PSE) თანამდებობებზე სამუშაოდ ოფიცერთა მივლინება;
- ნატო-ში ოფიცერთა მივლინება სტაჟირებაზე;
- ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამით (IPP) გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;
- პარტნიორ ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო სამხედრო სწავლებებში მონაწილეობა;
- სამხედრო აეროდრომების ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობის გაუმჯობესება;
- „მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის შესაძლებლობების“ პროგრამის განვითარება;
- ნატო-ს შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

მოსალოდნელი შედეგი:

- საქართველოს თავდაცვის სისტემის ნატო-სთან თავსებადობის გაუმჯობესება, ყოველწლიური ეროვნული გეგმითა და პარტნიორობის მიზნებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის.

მუხლი 48. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

- საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა;
- სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა;
- პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება;

- ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მოსამსახურეთა სოციალური დაცვა;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვის შენახვა და მომსახურება, ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა.

პრიორიტეტი: საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სხვა ქვეყნების, ორგანიზაციათა და პირთა მიზნებისა და მოქმედებების გამოვლენა, აღკვეთა, გამოძიება და ანალიზი;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამეცნიერო-ეკონომიკური, სამხედრო პოტენციალისა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, სხვა ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთა, სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხის პროგნოზირება და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისათვის სათანადო რეკომენდაციების მიწოდება;
- სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით კონტრდაზვერვითი საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო და მტრული საქმიანობის გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით;
- სამართალდარღვევათა შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოვლენა, წინასწარი გამოძიება, დანაშაულში ეჭვმიტანილი ან/და ბრალდებული პირების ძებნა და დაკავება, აგრეთვე მათთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება;
- ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნა, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულთა აღკვეთის პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება, იარაღის ლეგალური ბრუნვის კონტროლი;
- სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, შესაბამის უწყებებთან ერთად, კონტრდაზვერვითი საქმიანობით საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის წარმომადგენლობების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს საზღვრების გარეთ საქართველოს დაწესებულებებისა და მოქალაქეების, აგრეთვე საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქვეყნის სახანძრო უსაფრთხოების დაცვა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კონტროლი;

- სტიქიური უბედურებების, კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს პირთა უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და პირთა ქონების ხელყოფისაგან დაცვა, დაზარალებულ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა;
- სასაზღვრო პოლიციური ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შემცირება;
- სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხის პროგნოზირება და პრევენცია;
- მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება;
- სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების ლოკალიზება და მათი შედეგების ლიკვიდაცია;
- სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოება.

პრიორიტეტი: სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სახელმწიფო საზღვრის დაცვა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში დანაშაულთა თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარება და ადმინისტრაციული საქმის წარმოება;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, ქვეყნის საზღვაო სივრცეში და იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ გემებსა და საფრენ საშუალებებზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- სასაზღვრო ინციდენტების, სამხედრო და სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მოგერიება;
- უცხო ქვეყნების მოქალაქეთა ინსპექტირება, მიგრაციისა და უცხო ქვეყნების მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;
- სამაშველო ოპერაციების განხორციელება ზღვაზე, სასაზღვრო ზოლსა და ზონაში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – ადამიანის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით – ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლი სახელმწიფო საზღვარზე, საზღვაო სივრცეში, პორტებსა და გემებზე;

- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი რეაგირების მექანიზმის შემუშავება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება;
- ნავსადგურების დაცვა და უსაფრთხოება, საზღვაო სივრცეში სუვერენული უფლებების დაცვა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), კონტრაბანდული საქონლის, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება;
- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა;
- ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მინიმუმამდე შემცირება.

პრიორიტეტი: პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სამართალმცოდნეობისა და სხვა პროფილის სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება, კვლევითი და გამოყენებითი სამეცნიერო საქმიანობა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურებისა და დაწესებულებების თანამშრომელთა პირველდაწყებითი მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის რიგით და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი:

- კადრების პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება.

პრიორიტეტი: ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის,

მნიშვნელოვანი ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და სხვა ობიექტების დაცვა, ფულადი სახსრებისა და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება.

მოსალოდნელი შედეგი:

- დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა.

პრიორიტეტი: მოსამსახურეთა სოციალური დაცვა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურეთა დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში მათი სოციალური დაცვა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო უზრუნველყოფა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირება, დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონარულ-სანატორიული მკურნალობა, ავადობისა და ტრავმატიზმის მიზეზების შესწავლა, ავადმყოფთა და დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;
- დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება, შესაძლო საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და ევაკუაციის ორგანიზება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო უზრუნველყოფა;
- მოსამსახურეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირება;
- ავადმყოფთა და დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია.

პრიორიტეტი: სახელმწიფო მატერიალური რეზერვის შენახვა და მომსახურება, ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება;
- სახელმწიფო რეზერვების, მასალებისა და საქონლის დაგროვების სახელმწიფო დავალებების შესრულება;

- მატერიალურად საპასუხისმგებლო რეზერვების შენახვისა და აღრიცხვის კონტროლი.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახელმწიფო მატერიალური რეზერვის ბაზის სრულყოფა;
- ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა.

მუხლი 49. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობისა და მართვის დეცენტრალიზებული სისტემების სრულყოფა;
- სასწავლო გარემოს, განათლების ხარისხისა და ხარისხის მართვის სისტემების გაუმჯობესება;
- თითოეული მოქალაქისათვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და განათლების სფეროში დასაქმებულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობისა და მართვის დეცენტრალიზებული სისტემების სრულყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება;
- გამოცდების ჩატარებისა და საერთაშორისო შეფასების სისტემაში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა;
- სკოლამდელი განათლების პროგრამა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევების პროგრამა.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოიმატებს მასწავლებლების საბაზო ხელფასი, ამაღლდება მათი პროფესიული დონე და გაიზრდება მასწავლებლის პროფესიის პოპულარობა;
- ყველა მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ჯანმრთელობის დაზღვევით;
- გაუმჯობესდება პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელი;
- ამაღლდება პროფესიული განათლების პროგრამების ხარისხი;
- განვითარდება პროფესიული განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შეიქმნება პროფესიული განათლების მისაღებად საჭირო ფიზიკური გარემო;
- გაიზრდება პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა.

პრიორიტეტი: სასწავლო გარემოს, განათლების ხარისხისა და ხარისხის მართვის სისტემების გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- განათლების აკრედიტაციის ღონისძიებები;
- ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და შეფასება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის განვითარება;
- განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიების დანიშვნა;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- შემუშავდება უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური აკრედიტაციის ახალი დებულება და სტანდარტები;
- დამტკიცდება კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო;
- შეიქმნება უმაღლესი განათლების პროგრამული აკრედიტაციისათვის სხვადასხვა დარგობრივ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფები;
- 2010 წელს პილოტირებას გაივლის ქართულენოვანი სკოლის მე-5 კლასის სახელმძღვანელო, არაქართულენოვანი სკოლებისთვის ნათარგმნი სახელმძღვანელოები და ქართულის, როგორც მეორე ენის, მე-4 კლასის სახელმძღვანელო;
- ტრენინგ-კურსებს გაივლის და სასერტიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობას მიიღებს 10 000-მდე მასწავლებელი;
- გაუმჯობესდება მასწავლებელთა მიერ სასწავლო პროცესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები;
- საქართველოს ყველა საჯარო სკოლა და საგანმანათლებლო რესურსცენტრი უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტით;
- გაიზრდება საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილე ბავშვების რაოდენობა;
- საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდიები.

პრიორიტეტი: თითოეული მოქალაქისათვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და განათლების სფეროში დასაქმებულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ქართული ენის პროგრამა;
- ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა;
- მულტილინგვური სწავლების პროგრამა;

- ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დახმარების პროგრამა;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახების მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგები:

- პროგრამაში მონაწილეობის შედეგად ამაღლდება ეთნიკური უმცირესობით დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა პროფესიული კვალიფიკაციის დონე;
- გაუმჯობესდება სკოლის მასწავლებელთა უნარ-ჩვევები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესში;
- ამაღლდება მშობლების, მოსწავლეებისა და, ზოგადად, საზოგადოების ცნობიერება ინკლუზიური განათლების შესახებ;
- გალის რაიონის, თიღვის, ქურთის, ერედვის თემების, აგრეთვე ახალგორის რაიონისა და ზემო აფხაზეთის 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე მოქმედი სკოლების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი მიიღებენ ფინანსურ დახმარებას;
- არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ჩაერთვებიან ზოგადი და პროფესიული განათლების პროცესში;
- ამაღლდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომუშავე პედაგოგების კვალიფიკაციის დონე და გაუმჯობესდება მათი პროფესიული უნარ-ჩვევები;
- სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახების ყველა მოსწავლეს ექნება სახელმძღვანელოები.

პრიორიტეტი: მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სამეცნიერო კვლევების პროგრამა.

მოსალოდნელი შედეგები:

- 2009 წელთან შედარებით გაიზრდება სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული, კონკურსის წესით შერჩეული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობა;
- წარმატებულ ახალგაზრდა მეცნიერებს დაენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდიები;
- ქართველი მეცნიერები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- ამაღლდება ქართველ მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევების ხარისხი;

- განხორციელდება მიზნობრივი კვლევები სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ სამეცნიერო მიმართულებებში;
- გაიზრდება ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა საერთაშორისო პროექტებსა და ფორუმებში მონაწილეობის ინტენსივობა;
- გაღრმავდება უცხოურ სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობა.

მუხლი 50. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

- სახელოვნებო განათლების სისტემის რეფორმა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია;
- მსოფლიოში საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: სახელოვნებო განათლების სისტემის რეფორმა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება;
- სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შემუშავება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად;
- საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრატურის დაფინანსება;
- თეატრალურ უნივერსიტეტში კინოსასცენარო და დრამატურგიის მაგისტრატურის დაარსება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – მოწმობის – ფორმის დამტკიცება და დაბეჭდვა;
- მილევად რეჟიმში მყოფი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე სამუსიკო სკოლების (თერთმეტწლედების) დაფუძნება თბილისში, რუსთავში, გორსა და თელავში;

პრიორიტეტი: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საქართველოს ურბანული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების) დაცვა და რეაბილიტაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია;

- საქართველოს მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია, დამცავი ზონების დადგენა და მონიტორინგი;
- კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის ამოქმედება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების გააქტიურება;
- საქართველოს მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: მსოფლიოში საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

საქართველოს კულტურის საერთაშორისო პრეზენტაციის პროგრამა „ქართული სეზონი“

- საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნებს შორის სისტემატური გაცვლითი კულტურული ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები:

- ევროპის ქვეყნებში სახვით ხელოვნებაში მიმდინარე პროექტების, გამოფენების მოწყობა;
- ვენეციის ბიენალეს ქართული პავილიონის მოწყობა, ქართული კულტურის დღეების გამართვა;
- ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში მონაწილეობა.

პრიორიტეტი: ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარება;
- საქართველოს პროფესიულ თეატრებში ცნობილი უცხოელი რეჟისორების, სადადგმო ჯგუფების მოწვევის ხელშეწყობა;
- საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის დაცვა და განვითარება;
- ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარება;
- საქართველოში ტრადიციული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალებისა და კონკურსების მხარდაჭერა;
- მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია;
- ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობა;

- ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაცია;
- წიგნის ფესტივალების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია;
- ქართული სახვითი ხელოვნების განვითარება;
- თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმების ხელშეწყობა;
- საქართველოს თანამედროვე სახვითი და ვიზუალური ხელოვნების ელექტრონული არქივის შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბალეტის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება;
- საქართველოს გაწევრიანება „Eeurimages Council of Europe"-ში;
- კინოფესტივალის ჩატარება;
- მუსიკალური, კამერული მუსიკის, თანამედროვე მუსიკის, ჩასაბერ საკრავთა, საახალწლო და ფოლკლორის ფესტივალების ჩატარება;
- პოპულარულ თანამედროვე შემსრულებელთა კონცერტის ხელშეწყობა;
- ლიტერატურული გაზეთის დაფუძნება და თანამედროვე 10 ქართული საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოების გამოცემა;
- წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება;
- თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმის „არტისტერიუმი-2010"-ის მოწყობა;
- ხელოვნების ვებარქივის შექმნა.

მუხლი 51. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

- პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის;
- დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- 1999 წელს ევროპის საბჭოს წინაშე მუსლიმანი მესხების რეპატრიაციის შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

პრიორიტეტი: პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „ჩემი სახლი"

მოსალოდნელი შედეგები:

- აღირიცხება დევნილი მოსახლეობის უძრავი ქონება;

- განხორციელდება დევნილთა განსახლება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში.

პრიორიტეტი: დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- მიზანშეწონილობის მიხედვით კომპაქტური ჩასახლების ობიექტების რეაბილიტაცია და დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა;
- ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა ელექტროენერგიით, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგები:

- 100-მდე ობიექტში განხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც მოიცავს აუცილებელი საცხოვრებელი პირობების შექმნას, და ისინი დევნილ ოჯახებს გადაეცემათ საკუთრებაში;
- ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან ელექტროენერგიით, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურებით.

პრიორიტეტი: მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „ხიდი“

- მიგრაციული პროცესების მართვის სამოქმედო გეგმის განხორციელება;
- რეინტეგრაციის მდგრადი მექანიზმების უზრუნველყოფა სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნით;
- მიგრაციის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, ქვეყანაში მიმდინარე როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციულ პროცესებზე მონიტორინგი და მიგრაციის პროგნოზირება;
- პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების სრულყოფილი საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება საერთაშორისო სამართლის, დანიშნულების ქვეყნებში არსებული სამართლებრივი აქტების, დასაქმების შესაძლებლობის, მიგრანტთა უფლებებისა და მოვალეობების, ასევე მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ;
- ეკომიგრანტთა განსახლებისათვის აუცილებელი საცხოვრებელი ფართობების მოძიება და შეძენა.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობები;
- მოხდება რეადმისიის ხელშეკრულებით დაბრუნებულთა საზოგადოებაში სრულფასოვანი რეინტეგრაცია;
- შემცირდება არალეგალური მიგრაციის ნაკადები;
- სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართობებითა და შესაბამისი პირობებით დაკმაყოფილების გზით თავიდან იქნება აცილებული ქვეყნიდან

ქართული გენოფონდის გადინება; სტიქიით დაზარალებული ოჯახების განსახლების მიზნით შეძენილი იქნება 140-მდე საცხოვრებელი სახლი.

პრიორიტეტი: 1999 წელს ევროპის საბჭოს წინაშე მუსლიმანი მესხების რეპატრიაციის შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „რეპატრიაცია“

- „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად რეპატრიაციის სტატუსის მაძიებელთა განცხადებების განხილვა, მათი ანალიზი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაციის სისტემატიზაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

- დადგინდება რეპატრიაციის მსურველთა რაოდენობა.

მუხლი 52. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება კერძო სადაზღვევო სქემებით;

- სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- სხვადასხვა სოციალური კატეგორიისთვის მიკუთვნებული პირების, სოციალურად დაუცველი ფენების, ხანდაზმულების და იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები) სოციალური დაცვა.

პრიორიტეტი: მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება კერძო სადაზღვევო სქემებით

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამები

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, კომპაქტურ დასახლებებში მყოფ

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მიწოდებას კერძო სამედიცინო სადაზღვევო მექანიზმების საფუძველზე, პირველადი ჯანდაცვისა და ჰოსპიტალური მომსახურების დონეზე.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება სადაზღვევო სისტემაში მოსახლეობის ინტეგრაციის მაჩვენებლები;
- გაუმჯობესდება სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები მიზნობრივი სადაზღვევო პროგრამების განვითარების გზით;
- სადაზღვევო სისტემების განვითარება შეამცირებს სამედიცინო მომსახურებაზე ჯიბიდან გადახდების მაჩვენებელს.

პრიორიტეტი: სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სოფლად, დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის კომპონენტი, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი, სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტი, ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი.

ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების ეფექტიანი ფსიქიატრიული, ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით უზრუნველყოფა.

ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენციის ღონისძიებები, ფთიზიატრიულ პაციენტთათვის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის შენარჩუნება, მათი ამბულატორიული ან/და სტაციონარული მკურნალობა.

ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
18 წლამდე ასაკის მოსახლეობისათვის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით, აგრეთვე 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთათვის დროული და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ჰოსპიტალიზაცია, აგრეთვე ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება.

სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ორსულებისა და მშობიარეების პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, გართულებული მშობიარობის მართვა, ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟი და მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებაზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულების უზრუნველყოფა ჰემოდიალიზით, პერიტონეული დიალიზით, აგრეთვე თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციების გაკეთება პროგრამის ბენეფიციართათვის.

ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ონკოლოგიური პაციენტებისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების მიწოდება, კერძოდ, ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობა, ონკოჰემატოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და ონკოინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა.

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

მოსახლეობისათვის რეფერალური სამედიცინო დახმარების გაწევა – სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების დროს და კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება.

მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით, ასევე გულის იშემიური დაავადებით და გულის სიმსივნით დაავადებული მოსახლეობისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი კარდიოქირურგიული მომსახურების გაწევა.

ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება ჰემოფილიით დაავადებული პაციენტებისთვის.

აივ ინფექციის/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების შეფერხების ღონისძიებები, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, აივ ინფექცია/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა კონსულტირება და ტესტირება, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება.

სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა უფასო, სრულყოფილი და ოპერატიული გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში ჰოსპიტალიზაცია, აგრეთვე კატასტროფების დროს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ვეტერანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, დაავადებების გართულებათა პრევენციის ღონისძიებები, აგრეთვე ვეტერანების უზრუნველყოფა შესაბამისი სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო დახმარებით.

სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევა სამხედრო ძალებში გაწვევის წინ.

ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

გადამდებ დაავადებათა დროული გამოვლენა და ეპიდზედამხედველობა.

დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადამდები და არაგადამდები დაავადებების ადრეული გამოვლენისა და ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გატარების გზით.

მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

დიაბეტით დაავადებულთათვის, ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთათვის, ონკოინკურაბელურ პაციენტთათვის, ორგანოგადანერგილთა და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთათვის სპეციფიკური მედიკამენტების შესყიდვა, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატის, მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტების, ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის შესყიდვა.

აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში (გლობალ ფონდი)

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

წამალდამოკიდებულთა მეტადონით ჩანაცვლებით მკურნალობა, ტრენინგების ჩატარება აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციაზე; შიდსის მქონე პაციენტთა ანტირეტროვირუსული თერაპიისთვის მედიკამენტებისა და სახარჯი მასალების შესყიდვა, ტუბერკულოზის მქონე პაციენტთათვის მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების შესყიდვა, მალარიის დროული დიაგნოსტიკისა და ადეკვატური მკურნალობის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება და სხვა.

ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (WB)

პროექტი უზრუნველყოფს ქვეყნის მზაობას, აკონტროლოს და სათანადო რეაგირება მოახდინოს გრიპის პანდემიაზე და სხვა ახალ ინფექციებზე.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 850 შემთხვევამდე 100 000 მოსახლეზე;
- ამბულატორიული დახმარებისათვის მოსახლეობის მიმართვის მაჩვენებლის ყოველწლიური ზრდა (ვიზიტების რაოდენობის ზრდა ევროპის საშუალო მაჩვენებლამდე – 7,9 ვიზიტი 1 მოსახლეზე);
- ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლის ყოველწლიური ზრდა (ევროპის საშუალო მაჩვენებლამდე – 19,3 ვიზიტი 100 მოსახლეზე), როგორც ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საფუძველი;
- აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების გაფართოება;
- რისკჯგუფებში აივ/შიდსის გავრცელების, აივ ინფიცირებულებში სიკვდილიანობის მაჩვენებლის, ტუბერკულოზით ავადობის, მისი გავრცელებისა და სიკვდილიანობის, მალარიით ავადობის მაჩვენებლის შემცირება, მალარიის კერების შემცირება;
- იმ საფრთხის შემცირება, რომელსაც მაღალპათოგენური ფრინველის გრიპი და შინაურ ფრინველებში არსებული სხვა დაავადებები უქმნის ადამიანებს.

პრიორიტეტი: სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე კონტროლის სახელმწიფო პროგრამა
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად გაცემული დასკვნის გამოსავლენად სამედიცინო გადამოწმების მიზნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოკვლევა წინასწარ შერჩეული სამედიცინო დაწესებულებების მიერ.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამა
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრების დაცვა, ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული სამკურნალო საშუალებების გამოვლენა და მათი მიმოქცევის აღკვეთის ღონისძიებები.

სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
ჯანმრთელობის დაცვის სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება/განახლება, კერძოდ, სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია და აღჭურვა.

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
თანამედროვე სტანდარტებისა და საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისი დონის ექიმი-სპეციალისტების მომზადება, აგრეთვე დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების რეფორმის მხარდაჭერისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება.

ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი (WB)
პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფოს ფუნქციების გაძლიერება, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, სამედიცინო სერვისების უტილიზაცია და ხარისხის გაუმჯობესება.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტი (ევროკავშირი)
პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
საოჯახო მედიცინაში სპეციალისტების მომზადების შესაძლებლობების გაძლიერება, სამიზნე პოპულაციის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიისა და განხორციელების გეგმის მომზადება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული სტრუქტურების გაძლიერება და ლაბორატორიული ქსელის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა – ფაზა II (KfW)
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:
ქალაქ თბილისში ეროვნული საკონსულტაციო ლაბორატორიის გაფართოება, კერძოდ, ტუბერკულოზის ეროვნული სათავო/რეფერენსლაბორატორიის მშენებლობა, აგრეთვე ქვეყნის მომარაგება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პირველადი საჭიროების

მედიკამენტებით და ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმით დაავადებულების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ამაღლდება ამბულატორიული და ჰოსპიტალური მომსახურების ხარისხი;
- უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო დაწესებულებების მიერ საექსპერტო დასკვნების გაცემის სისწორე;
- მომზადდებიან 2007 წლამდე სახელმწიფო დაკვეთით მიღებული რეზიდენტები;
- გაუმჯობესდება დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების შეფასების ინსტრუმენტები, შემუშავდება და განახლდება საკვალიფიკაციო და სასერტიფიკაციო გამოცდების მეთოდოლოგია და ტესტ-კითხვარები;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტში აშენდება და აღიჭურვება 25-საწოლიანი საავადმყოფო, რეაბილიტირებული იქნება და აღიჭურვება საოჯახო მედიცინის ცენტრი გორში;
- საოჯახო მედიცინაში მზადებას გაივლის და დაასრულებს 800-მდე ექიმი და ექთანი, 500-მდე ექიმს ჩაუტარდება მზადება კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებში;
- გაიზრდება სოფლის ექიმების საერთო რაოდენობაში გადამზადებული ექიმების რაოდენობა;
- ამაღლდება ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმით დაავადებულების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარისხი და დაკმაყოფილდება ამჟამად ქვეყანაში არსებული მზარდი მოთხოვნები;
- გაუმჯობესდება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პირველადი საჭიროების მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა.

პრიორიტეტი: სხვადასხვა სოციალური კატეგორიისთვის მიკუთვნებული პირების, სოციალურად დაუცველი ფენების, ხანდაზმულების და იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები

კანონით დადგენილ პირთათვის განსაზღვრული ოდენობებით სახელმწიფო პენსიების, სახელმწიფო კომპენსაციების და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების გაცემა, აგრეთვე პენსიაზე დანამატის გაცემა შრომითი სტაჟის გათვალისწინებით, შეზღუდული შესაძლებლობის და მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირთათვის, ასევე პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის სახელმწიფო პენსიის გაცემა.

სოციალური დახმარებების პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახების მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა.

სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში II (SDC)

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

სოციალურად დაუცველი, უსახლკარო იძულებით გადაადგილებული პირებისა და ამავე კატეგორიის სხვა მოსახლეობის უზრუნველყოფა მდგრადი საცხოვრებელი პირობებით და მათთვის სოციალური დახმარების გაწევა; ხუთი სოციალური საცხოვრისის პროექტის განხორციელება ქალაქ თბილისში, ქალაქ ბათუმში, ქალაქ ქუთაისში, ქალაქ ზუგდიდსა და ქალაქ გორში. პროექტი მოიცავს თითოეულ ქალაქში ორი ორსართულიანი სახლის (14 ბინითა და ერთი საერთო ოთახით) აშენებას, მსგავსად თავდაპირველი პილოტური პროექტისა, გარდა ქალაქ თბილისისა, სადაც აშენდება 24-ბინიანი ორი სამსართულიანი სახლი.

სხვა ფულადი სოციალური დახმარებები

სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების ფულადი სოციალური გასაცემლებით უზრუნველყოფა, კერძოდ, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო, სხვადასხვა კატეგორიის პირთათვის ფულადი სოციალური გასაცემლის (საყოფაცხოვრებო სუბსიდიის) გაცემა საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროების უზრუნველსაყოფად, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების გაცემა.

მოსალოდნელი შედეგი:

- მიზნობრივი სოციალური დახმარება, სოციალური საცხოვრისები და სოციალური ტრანსფერები ხელს შეუწყობს სიღარიბის ორი პროცენტული ნიშნით შემცირებას.

პრიორიტეტი: სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები) სოციალური დაცვა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ოჯახურ გარემოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სწავლის, შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის, აგრეთვე აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით დღის ცენტრების მომსახურების განვითარება და ამ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა პანსიონური მომსახურება

აღნიშნული მომსახურების ფარგლებში განხორციელდება:

ბენეფიციართათვის ოჯახური გარემოს მსგავსი პირობების შექმნა, მათი მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურებითა და სამკურნალო

ღონისძიებებით უზრუნველყოფა; მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა) სააღმზრდელო დაწესებულებების სადღეღამისო და დღის ცენტრის ტიპის მომსახურებით უზრუნველყოფა.

პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ, ძალადობის მსხვერპლ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მიუსაფარ ბავშვთა სრულყოფილი განვითარების ხელშემწყობი ოჯახური გარემოს შექმნა და სოციალური დაცვა, ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება ან სხვადასხვა ალტერნატიულ მომსახურებებში ჩართვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაცია და ამაღლდება მათი სოციალური ინტეგრაციის ხარისხი;
- გაუმჯობესდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხი, გაძლიერდება მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარი;
- შემცირდება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინსტიტუციები და განვითარდება ალტერნატიული სერვისები;
- რეფორმის დასრულების შემდეგ თითო რეგიონში დარჩება მხოლოდ ერთი ბავშვთა სახლი და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა უმრავლესობა მიიღებს ალტერნატიულ მომსახურებას;
- გაუმჯობესდება მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ცხოვრების პირობები.

მუხლი 53. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

- მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფა;
- ელექტროგადაცემის საშუალებების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

პრიორიტეტი: მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

„ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება“

ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის სოციალური პირობების შემსუბუქების მიზნით ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებთა და დუშეთის მუნიციპალიტეტის

მაღალმთიანი სოფლების (სეთურნის, ჯალმიანის, ზაქანის, ხადის და კაიშაურნის) მოსახლეობის მიერ 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2010 წლის 15 მაისამდე და 2010 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება (ერთ აბონენტზე 700 $მ^3$-ის გათვალისწინებით, მაისსა და ოქტომბერში – არა უმეტეს 350 $მ^3$-ისა).

მოსალოდნელი შედეგი:

- მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: ელექტროგადაცემის საშუალებების მშენებლობა-რეაბილიტაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

„მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტროგამანაწილებელი მოწყობილობების მშენებლობისა და მათი იმედიანობის გაზრდის მიზნით სარეაბილიტაციო ღონისძიებები“

ელექტროგადამცემ ხაზებზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება.

პრიორიტეტი: ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- **ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამა „შავი ზღვის რეგიონალური გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი“

პროგრამა „მაღალი ძაბვის 220-კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის – სენაკის – აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოები“

- საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის, 500-კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, კერძოდ, ზესტაფონი-ახალციხის, გარდაბანი-ახალციხის, ახალციხე-ბორჩხის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა მუდმივი დენის ჩანართით;
- ელექტროგადამცემი ხაზის – სენაკი 1.2-ის – ერთი ჯაჭვის აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგი:

- ელექტროსისტემის მდგრადობისა და იმედიანობის გაზრდა; მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან მუშაობის სინქრონიზაცია და საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდა.

- **ბუნებრივი გაზის გადაცემის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამა „ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის გაზიფიცირება“

პროგრამა „დასავლეთის მიმართულებით მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა-რეაბილიტაცია“

სენაკი-ფოთის დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა, არსებულ მაგისტრალზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და დაზიანებული მონაკვეთების შეცვლა.

მოსალოდნელი შედეგი:

- ფოთის ინდუსტრიული ზონის ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფა, გაზის ტრანსპორტირების საიმედოობისა და მიწოდების გაზრდა დასავლეთ საქართველოში.

მუხლი 54. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია;
- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა;
- მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა;
- სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- მეცხოველეობის განვითარება.

პრიორიტეტი: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია

ადგილობრივი ფერმერების წარმოების ახალ სისტემაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად განხორციელდება რაიონებში ექსტენციის სამსახურების შექმნის ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები:

- მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების საჰექტარო მოსავლიანობის ზრდა;
- ფერმერთა ფართო მასების ცოდნის ამაღლება სანდო, ხარისხიან და უვნებელ სათესლე-სარგავ საშუალებებზე.

პრიორიტეტი: მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „ღვინის ლაბორატორიული კვლევა“

განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირებულ პარტიებზე საინსპექციო კონტროლი, რაც გულისხმობს შერჩევითი წესით ფიზიკურ-ქიმიური ტესტირებისა და სადეგუსტაციო კომისიისათვის წარდგენილ ნიმუშებთან შედარების უზრუნველსაყოფად სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის ჩატარებას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ღვინოპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;
- ქართული ღვინოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა;
- მეღვინეობის სფეროში დასაქმებულ მეწარმეთა პასუხისმგებლობის ამაღლება.

პროგრამა „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“

- მოეწყობა ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაცია-კონკურსები და გამოფენები;
- სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ მომზადდება და გამოქვეყნდება შესაბამისი სტატიები, გამოიცემა კატალოგები და ბროშურები;
- ექსპოზიციის პერიოდული განახლების მიზნით მოხდება ლონდონის ღვინის მუზეუმში ქართული დარბაზის დაქირავება;
- განხორციელდება თანამშრომლობა საერთაშორისო ექსპერტებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

- საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის გაზრდა;
- ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება, საექსპორტო პოტენციალის ამაღლება.

პროგრამა „მსოფლიო ღვინის კონგრესი“

ღვინისა და ვაზის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით საქართველო უმასპინძლებს 33-ე ღვინის კონგრესს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ექსპერტები.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს, პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით;
- ქართული ღვინისა და ღვინის ტურიზმის პოტენციალის საგრძნობი ამაღლება, ახალი ბაზრების ათვისება;
- ქართველი მეღვინეების, მეცნიერებისა და აგრარული დარგის წარმომადგენლების კავშირის გამყარება ამ დარგის წამყვან სპეციალისტებთან.

პროგრამა „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება სინგაპურში ღვინის საერთაშორისო გამოფენა „ღვინო აზიისთვის – 2010“-ში მონაწილეობას.

მოსალოდნელი შედეგი:

- საქართველოში წარმოებული ღვინის პოპულარიზაცია, აზიის საექსპორტო ბაზარზე ქართული ღვინის დამკვიდრება, ცნობადობის ამაღლება და ექსპორტის ზრდა, მეღვინეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

პროგრამა „ჰიბრიდული ჯიშის ნარგაობების ჩანაცვლების ღონისძიებები“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება კახეთის რეგიონში ჰიბრიდული ჯიშის ვაზის ნარგაობების განახლებას. კომპენსაციის სახით ერთ ჰექტარ ფართობზე გაიცემა 1 000 ლარი.

მოსალოდნელი შედეგი:

- ვაზის ნარგაობების განახლება, ჯიშობრივი გადახალისება, გამოთავისუფლებული ფართობების რაციონალური გამოყენება, ღვინოპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება, ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის დარგის შემდგომი განვითარება.

პრიორიტეტი: მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა

ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდება საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელება-განვითარების ფიტოსანიტარიული მონიტორინგი, მათი ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია, სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი.

მოსალოდნელი შედეგები:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მწვანე საფრის მავნე ორგანიზმებისაგან დაცვა;
- მავნებლების გავრცელების არეალისა და მოსავლის დანაკარგების შემცირება;
- ქვეყნის ტერიტორიაზე ვადაგასული, უხარისხო პესტიციდებისა და აგროქიმიურ საშუალებათა რეალიზაციის აღკვეთა.

პრიორიტეტი: სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“

განხორციელდება სურსათის/სასმელი წყლის ნიმუშების დადგენილი წესით აღება, აკრედიტებულ ლაბორატორიებში ლაბორატორიული ტესტირება და შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე სურსათის მავნე ზემოქმედების შემცირება;
- სახელმწიფოს მიმართ მომხმარებლის ნდობის ამაღლება.

პრიორიტეტი: მეცხოველეობის განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“

- ჩატარდება ჯილეხის, ცოფის, თურქულის დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია, ხოლო ბრუცელოზსა და ტუბერკულოზზე – დიაგნოსტიკური გამოკვლევები;
- ინფექციის გაჩენის შემთხვევაში დაავადების კერებში გატარდება სალიკვიდაციო ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

- ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნება, ცხოველების დაავადების შემთხვევების შემცირება და ცხოველებისა და ადამიანების საერთო დაავადებების თავიდან აცილება; ვეტერინარული თვალსაზრისით კეთილსაიმედო მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება; ქვეყანაში დაავადებათა აფეთქებით გამოწვეული შეზღუდვების (ექსპორტი და იმპორტი) თავიდან აცილება.

მუხლი 55. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

- ეფექტიანი რესურსთსარგებლობა;
- გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა.

პრიორიტეტი: ეფექტიანი რესურსთსარგებლობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „სატყეო ღონისძიებები“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ტყის რაციონალური გამოყენების მიზნით სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის რესურსების ინვენტარიზაცია;
- ტყეების ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით ტყის დაცვა დაავადებებისაგან, ხანძრებისა და უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან;

- სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ბუნებრივი რესურსების განახლება, დეგრადირებული და დაბალი სიხშირის კორომების აღდგენა, მდგრადი და მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების დადგენა-დაზუსტება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სათბობ შეშაზე და საყრდენ მასალაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
- ტყის ფონდის შენარჩუნება, დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვა;
- სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მერქნული რესურსების რეალური მოცულობების დადგენა და შესაბამისი ინფორმაციული ბაზის შექმნა.

პროგრამა „მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებები“

- მოსახლეობისათვის დარიგებული ვაუჩერების რაოდენობის შესაბამისად, საშეშე მერქნისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლების ჩარიცხვა შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

მოსალოდნელი შედეგი:

- ზამთრის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“

- ინფორმაციის გავრცელების მიზნით საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის მიღება;
- დაცული ტერიტორიების სარეკლამო-საინფორმაციო ბროშურების, ბუკლეტების და სხვა სახის პოლიგრაფიული სარეკლამო-საინფორმაციო მასალების დამზადება და გავრცელება;
- სატელევიზიო რეკლამის მომზადება და განთავსება;
- ეკოტურიზმის თემასთან დაკავშირებული გამოფენების ორგანიზება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;
- ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება როგორც სკოლების მოსწავლეთათვის, ისე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის;
- ეკოტურიზმის სფეროში მიმდინარე სიახლეების გაშუქება ადგილობრივი თუ საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მოსალოდნელი შედეგები:

- ვიზიტორებისა და დაინტერესებულ პირთა ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- ტურისტების რაოდენობის ზრდა;

- ქვეყნის მასშტაბით ეკოტურიზმის განვითარება;
- დაცული ტერიტორიებისადმი ინტერესის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს მათ პოპულარიზაციას.

პროგრამა „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“

- საქართველოს დაცულ ტერიტორიებში ხანძრების გაჩენის კერების შესამცირებლად პრევენციული ღონისძიებების ჩატარება;
- მეხანძრეებისათვის უნიფორმისა და სპეცინვენტარის შეძენა;
- ხანძარსაწინააღმდეგო თხრილებისა და სხვა აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების ჩატარება;
- ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს პათოლოგიებისაგან დაცვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- დაცულ ტერიტორიებზე ხანძრის წარმოშობის კერების და ხანძრის გაჩენის რისკების შემცირება;
- დაცულ ტერიტორიებზე მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

პროგრამა „ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები“

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;
- გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმათა გათვალისწინებით დასაბუთებული საექსპერტო დასკვნების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი:

- გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების კონტროლის განხორციელება.

მუხლი 55[1]. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- სასპორტო განათლების სისტემის რეფორმა;
- სპორტულ სახეობათა განვითარება და ახალგაზრდული სპორტის პოპულარიზაცია;

პრიორიტეტი: სასპორტო განათლების სისტემის რეფორმა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა;

მოსალოდნელი შედეგები:

- „პროფესიათა“ ნუსხაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება და „მწვრთნელის“, როგორც პედაგოგის, ცალკე პროფესიად შეტანა.

პრიორიტეტი: სპორტულ სახეობათა განვითარება და ახალგაზრდული სპორტის პოპულარიზაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამა

- საქართველოს წამყვან სპორტსმენთა მზადება ლონდონის XXX ოლიმპიური თამაშებისათვის და ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვება;
- ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის და საერთაშორისო ტურნირებისათვის მომზადება.

საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა

- საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა;
- ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება;
- სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების (რაგბი, ფეხბურთი) შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- სასკოლო ფეხბურთის განვითარება;
- ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლებში.

მუხლი 56. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელი, ძლიერი და ეფექტიანი ოფისის მუშაობის

უზრუნველყოფა, რეგიონული წარმომადგენლობების, მათ შორის, სამოქალაქო განათლების რესურსცენტრების გაძლიერება;

- წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირება, თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგი.

პრიორიტეტი: საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელი, ძლიერი და ეფექტიანი ოფისის მუშაობის უზრუნველყოფა, რეგიონული წარმომადგენლობების, მათ შორის, სამოქალაქო განათლების რესურსცენტრების გაძლიერება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სახალხო დამცველის მანდატის, ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიების და ბიუჯეტის ფორმირების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადება;
- სახალხო დამცველის სასამართლოს წინაშე Amicus Curiae-ს (სასამართლოს მეგობრის) როლში წარდგენის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება;
- სახალხო დამცველის ინსტიტუტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, დამატებითი რეგიონული ოფისების გახსნა და მათი შესაძლებლობების განვითარება;
- სამოქალაქო განათლებისათვის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახალხო დამცველის ძლიერი და ეფექტიანი ოფისის ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ზედამხედველობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- სახალხო დამცველის აპარატის შიდა მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა მართვისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების კუთხით, რეგიონულ ოფისებსა და თბილისის ოფისს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- საზოგადოების ცოდნის ამაღლება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში, ასევე სახალხო დამცველის მანდატსა და ფუნქციებზე.

პრიორიტეტი: წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირება, თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგი

მონიტორინგის განხორციელება თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების ეფექტიანი შესრულება.

მოსალოდნელი შედეგი:

- სახალხო დამცველის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის

წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების ჯეროვნად შესრულება.

მუხლი 56[1]. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

პრიორიტეტი: სტატისტიკური კვლევები

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა

- ეკონომიკური ინდიკატორებისა და სექტორების სტატისტიკური კვლევა;
- მიღებული მონაცემების გავრცელება შესაბამისი პუბლიკაციების გამოცემით და ვებგვერდის მეშვეობით.

შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა

- შინამეურნეობათა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, სიღარიბის, დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და გამოქვეყნება.

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა

- სოფლის მეურნეობის სექტორის მახასიათებელი ინდიკატორების გაანგარიშება;
- სასურსათო უსაფრთხოების შესახებ მონაცემთა დამუშავება და სასურსათო უსაფრთხოების თაობაზე ბიულეტენების გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მოსალოდნელი შედეგი:

- ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური და სხვა სფეროების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციით საზოგადოებისა და ხელისუფლების უზრუნველყოფა.“.